საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 7502/01
19/07/2021

7502-01-2-202107191732

ი/მ შოთა ურიადმყოფელს

მის: ქ. თერჯოლა ტ. სოფრომაძის N1

ელ. ფოსტა: nero-baza@mail.ru

სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 13 მაისის N 8214 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ი/მ შოთა ურიადმყოფელის ავტოგასამართი სადგურის (ნავთობპროდუქტების საცავის) ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადებას და გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, ავტოგასამართი სადგური მდებარეობს ქ. თერჯოლაში რუსთაველის ქ. N14 ში, რომელიც წარმოადგენს შპს „თერჯოლა ოილის“ საკუთრებას, ამასთან ი/მ შოთა ურიადმყოფელს შპს „თერჯოლა ოილისგან“ ავტოგასამართი სადგური აღებული აქვს იჯარით, ამასთან შპს „თერჯოლა ოილს“ ავტოგასამართი სადგური შეძენილი აქვს ფ/პ მალხაზ ჭუმბურიძისგან 2020 წელს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ავტოგასამართი სადგური მოწყობილია გასული საუკუნის 90-იან წლებში. სკრინინგის განცხადების მიხედვით, ავტოგასამართ სადგურზე მოწყობილია 6 რეზერვუარი, რომელსაც ჩაუტარდა რეაბილიტაცია, რაც გულისხმობს არსებული რეზერვუარების შეკეთებას, გამოცდას და ხელახლა ჩაწყობას სარკოფაგში.

როგორც განცხადებით დგინდება ავტოგასამართ სადგურზე ახალი რეზერვუარების მოწყობა დაგეგმილი არ არის. აღნიშნულიდან გამომდინარე გაცნობეთ, რომ 2018 წლის 1 იანვრამდე დაწყებული, ამ კოდექსის I და II დანართებით გათვალისწინებული საქმიანობები, რომლებიც არ მოიცავს „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობებს, არ საჭიროებს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას. აღნიშნულ საქმიანობებზე ვრცელდება გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნები და გარემოსდაცვითი ნორმები. შესაბამისად საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია სამინისტროში შესათანხმებლად წარმოადგინოს

ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე